წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | ოთხშაბათი 10 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**
წლი-რად. . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

**განცხადების ფასი:**
პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
[illegible] განცხადება ღირს ერთი [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] უფრო [illegible] სამ გამომცემლობისა, [illegible]
[illegible] 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 25 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 25

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

მე-2 სერია — მე-2 სერია

ორშაბათიდან, 8 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა

**ავაზაკობის ქარიშხალში**

ემილიო სანნომის მონაწ.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან **ექიმ მორელის საქმე** პსიქოლიგიური დრამა 5 ნაწ. კარენ ბრამსონისა ხუდოლეევისა და ვპენნერის მონაწ.

1. მოულოდნელი და საიდუმლო სიკვდილი 2. ცხოვრებამ ჩათრია! 3. სიყვარულის უცნობი ძალა. 4. ტანჯული გული. 5. თუ ცხოვრება გულს ემის, სიკვდილი უნდობელია.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 4 მაისიდან სენსაციური პროგრამა

**სიკვდილის ცეკვა**

ფსიხოლ. დრამა 5 ნაწილად ბ-ნ მოზჟუხინის მონაწ.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან **ბულალტერი ტორბინი** საამდროვო დრამა 4 ნაწილად გარინოვისა ბარანცევიჩისა, რახმანოვისა და შოლცის მონაწ.

**განდიდების მანიით შეპყრობილი** კომ. 2 ნაწ. კოროტიშკინის მონაწ.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოთხშაბათს, 10 მაისს გაიმართება საბენეფისო სამხიარულო წარმოდგენა ყველას საყვარელ

**პეტროკოვსკების**

ტრიოს ბენეფისი. ბენეფიციანტები დღეს შეასრულებენ სამხედრო საარტილერიო აქტს ზარბაზნით და თოფებით. დღეს ბ-ნი პეტროკოვსკი დალევს 30 ჰიქა წყალს და შემდეგ ისევ უკანვე ამოაქცევს შადრევანათ. დღეს გაიმართება მოკავშირე ჯარების მოძრაობა. ამას გარდა ბევრი სხვა ახალი საინტერესო ნომრებია პროგრამაში. დაწვრ. აფიშებში. დასაწყისი საღ. 8 ნახევარ საათზე.

## დღეს:

**წერილები:**
ტრ. ჯაფარიძე: საიდან დავიწყოთ?
გ. წერეთელი: რატომ არ ვართ სოციალისტები
დ. თომაშვილი ალიონი.
ირ—დი მიწურულში
elise — სოფელს მიხედეთ.
გუთნის შემადგენელნი: ქამუშ. რეცენ. გამო
**ცნობები:**
ახალი მთავრობის პროგრამა, რევოლუციის ამბები, მსოფლიო ომი, დამფუძნ. კრების სამზ. საქ. ეროვნ. დემ. პარტიის. დამფუძნ. ყრილ. ახალი ამბავი.

## საიდგან დავიწყოთ?

ასი წლის მონობაში ყოფნამ ისტორიულ საქართველოს სახე შეუცვალა. პოლიტიკური თავისუფლება სრულიად მოისპო. ვაჭრობა-მრეწველობა თანდათან შევიწროვდა, მეურნეობა დაეცა. ქართული კულტურა გაქრა, მხოლოდ აქა-იქ ნაშთები ღა დარჩა. თვით ხალხი არსებითად შეიცვალა. წოდებრივობა გაღრმავდა, გაჩდა განსაკუთრებული ტიპი სახელმწიფო მოხელისა, რომლის არსებობა ეროვნულ ცხოვრებას დიდ ზარალს აძლევდა. შესდგა ეგრეთ-წოდებული ინტელიგენციაც, რომელიც ძლიერ ყალბ ნიადაგზე იდგა და მიტომაც მის მოღვაწეობას არსებითი სარგებლობა არ მოქონდა. თვით სახე ინტელიგენციისა მეტად ჭრელი იყო. ინტელიგენციის სახელს ატარებდა მოხელეც, ბრწყინვალე დედების წარმომადგენელიც, გადაგვარებული ქართველიც, ვიწრო პარტიული მოძღვრების იდეოლოგიც და სხვა. ცალცალკე შეგნებული და ჭეშმარიტი უანგარო მოღვაწე- ინტელიგენტი იყო და მისს მოქმედებას გარკვეული მიზანიცა ქონდა დასახული. მაგრამ, მთლიანად რომ ავიღოთ ინტელიგენცია, როგორც მოწინავე ელემენტი, როგორც მაღალი იდეის მატარებელი ჯგუფი, თანაც გულრწფელი გამომხატველი ჭეშმარიტი პროგრესისა და თავ განწირული მებრძოლი ხალხის კეთილდღეობისათვის—საქართველოში არ იყო. არ იყო მიტომ რომ მონობის ხანა და მთელი რუსეთის უკიდურესი რეჟიმი ასეთი ინტელიგენციის გაჩენას ხელს არ უწყობდა.

ყოველი დაწესებულება, სადაც უნდა აღზრდილიყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი და სადაც უნდა გაწვრთნილიყო მისი ძალ-ღონე, სამეფო ტახტის ძლიერებას ემსახურებოდა და ამის გარეშე თითქმის არაფერზე არ ზრუნავდა. შკოლა სრულებითაც არ აღვივებდა თავისუფლების გრძნობას, პირიქით მზად იყო ამგვარი რამ მოწაფის გულში ჩაეკლა, საზოგადო დაწესებულება, სადაც ვარჯიშობს თავისუფალი ძალა და ადგილი ეძლევა შემოქმედებას, მუდამ ყარაულ-ქვეშ იყო და ათანაირი ცენზურა ყოველ მოღვაწეს სულს უხუთავდა.

თუ ვინმე გაბედავდა ამ შემზღუდავი პირობების გადალახვას და მონობის უღელს გადიგდებდა, იმას ათასგვარი განსაცდელი მოელოდა: ჩხრეკა, დატყვევება, დარბევა, გადასახლება და სხვა ასეთები. ასეთმა მკაცრმა ატმოსფერამ და სასტიკმა წესწყობილებამ ხალხზე დიდი გავლენა იქონია; ზოგი მონობას შეეჩვია, ზოგს ხასიათი წაუხდა, რის გამოც [?]ასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ზოგმა ბრძოლაში სული დალია, ზოგიც შეთანხმების გზას ადგა და დღითი დღე ცდილობდა გარემოებას შესჩვევოდა. საერთოდ მთელ რუსეთში და კერძოთ ჩვენში გამეფებულმა რეჟიმმა ხალხი გონებრივათ და ზნეობრივათ დააქვეითა, ნების მხრივ კი თითქმის დააჩლუნგა, ხალხის ბუნება შეიცვალა.

დღეს, როდესაც თავისუფლების სიომ დაჰქროლა, ყველას გრძნობა აღეძრა, ყველა უკეთესის მოლოდინმა აავსო, მაგრამ სიმართლე რომ ვსთქვათ, ბევრს შეგნებაც სუსტი აქვს და პოლიტიკური სიმწიფეც აკლია. ამიტომ რევოლუციის ნანგრევებზე ახალი შენობის აგება დიდ შრომასა და უნარს მოითხოვს. ბევრი ხელის შემშლელი პირობები გველობება წინ. მაგრამ მთელი ძალ-ღონე იქით უნდა მივმართოთ, რომ სწორი გზა ვნახოთ და ნაყოფიერი მუშაობა დავიწყოთ. მთავარ საეროვნო საკითხების უთანხმოება, პარტიული გამწვავება, წოდებრივი სიძულვილი, პირადი იერიშები, მცხოვრებთა აწიოკება, არჩევნების დამახინჯება, და სხვა ამგვარი სავსებით გვიმტკიცებს, რომ ახალი წესწყობილების დამყარება ძლიერ გაგვიჭირდება. ყოველ შემთხვევაში განახლების საერთო პროგრამის მკაფიოთ გათვალისწინება აუცილებელია.

ჩვენი ინტელიგენცია განახლების იდეის გარშემო უნდა შეერთდეს. ინტელიგენციამ უნდა შეადგინოს საერთო ეროვნული პროგრამა და მისი განხორციელება იკისროს. ყოველ საკითხზე ინტელიგენცია ვრცელ დეკლარაციას უნდა ამზადებდეს.

ინტელიგენციის როლს დღეს პოლიტიკური პარტიები თამაშობენ, რაც არსებითად სულ ერთია. იქნეს მუშაობა, აღორძინების საძირკველი ჩაიყაროს და მომქმედ ძალას რა სახელს ვუწოდებთ სულ ერთია, ოღონდ თანხმობა, როგორც თავდები გამარჯვების, კი იქნეს.

მონობის ხანამ ჩვენში ინტელიგენცია უფრო წაახდინა, ვინემ გლეხობა. სახელმწიფოს უკუღმართ პოლიტიკას გლეხობა უფრო შორს უდგა, ამიტომაც, თუმცა გაუნათლებელი დარჩა, მაგრამ ბუნება კი უფრო წმინდათ შეინახა. მართალია გლეხობამაც ბევრი ტანჯვა გამოსცადა, განათლების სხივი ვერ იხილა, კულტურის გემო ვერ გასინჯა, მაგრამ ბუნებრივი საუნჯე კი შეინახა. აი სწორედ ეს საუნჯეა ის ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ ახალი ცხოვრება უნდა ავაშენოთ, თუ გვაქვს უნარი, თუ ვიცით ხალხის ენა და თუ გვესმის მისი სულის კვეთება.

როგორია დღეს ჩვენი გლეხი? რომ მივიდეთ, გადავხადოთ ფარდა მის სულსა და გულს და ჩაუკვირდეთ მთელ მის საიდუმლოებს, წავიკითხავთ, რომ ჩვენი გლეხი არის ქართველი, მამულის მოტრფიალე მესაკუთრე, შრომის მოყვარე, მორწმუნე, თავისუფლების მომხრე. ჩვენს გლეხს უყვარს თავისი სახე, თუმცა ხშირად ის უცხოელთა კაპიტალს ემორჩილება, გარეშე ძალის წინაშე მუხლს იყრის, მაგრამ თავის ეროვნულ ღირსებას არასოდეს არ ივიწყებს. ციმბირში ტყვეთ გადახვეწილი ქართულ სახეს ეთაყვანება. ჩვენს გლეხს ძლიერ უყვარს მამული, სამშობლო, მხოლოდ თუ ამ სიყვარულის სიღრმე სავსებით ვერ გამოუხატავს, აქ ენის სისუსტეა მიზეზი და არა გულცივობა, ანუ გრძნობის სივიწროვე. ჩვენს გლეხს შრომა უყვარს, მხოლოდ თუ მძიმე პირობებშია ჩაყენებული, როგორც მაგალითად მიწის სივიწროვისა გამო მაშინ ხასიათი ეცვლება და სწორ გზას გადამცდარი შეცდომაში ვარდება. ჩვენი გლეხი მორწმუნეა, თანაც ისეთი ღირსეული მორწმუნეა, რომ გარეგნობას არასოდეს არ აზვიადებს. თუ შემთხვევით ვინმე ურწმუნოების მოძღვრებას თავზე შემოახვევს, ერთგვარ რყევას განიცდის, მაგრამ მალე თავის გზას პოულობს და სარწმუნოებას გულიდან ვერაფერი ამოუფხვრის, ჩვენს გლეხს თავისუფლება უყვარს, მზადაა ამისთვის იბრძოლოს, მოსწონს თავისუფლება და გმობს ძალმომრეობას. მთავრობის ძალა და დახელოვნებული მოხელეების უკუღმართად მოწყობილი მართვა-გამგეობა გლეხს იმორჩილებს, მაგრამ გულში გლეხი გრძნობს მათს უსამართლობას, ებრძვის მათ, როგორც შეუძლია, იმ იმედით, რომ ბოროტს ღმერთი პასუხს აგებინებს და მასაც ეშველება რამე.

დღეს გლეხი ცხადათ დაინახავს, რომ უსამართლობას ბოლო ელება და ნაცვლად ძალმომრეობისა თავისუფლება მყარდება: დღეს გლეხი იგრძნობს, რომ ნაცვლად გამეფებული უწესოებისა წესიერება მყარდება; იგრძნობს ყოველივეს და კიდეც მიხვდება, თუ ჩვენ შევსძლებთ მასთან გულდასმით ლაპარაკს. ჩვენი გლეხი მშვენიერად შეითვისებს საზოგადო ცხოვრების ახალ პრინციპებს, თუ კი მათ ისე განვმარტავთ, როგორც შეეფერება მსმენელთა სულიერ განწყობილებას.

თუ გვინდა ახალი ცხოვრების მოწესრიგება, ჩვენი მოღვაწეობა სოფლიდან უნდა დავიწყოთ.

პირველ-ყოვლისა გლეხობის სულის კვეთება უნდა დავაკმაყოფილოთ; პირველ-ყოვლისა მის ჭირვარამს მალამო უნდა დავადოთ.

რა სჭირდება დღეს გლეხობას?

ამაზე შემდეგ.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## მიწურულში.

დასაწყისში მსოფლიო ომმა ფრიად დიდი და კეთილ შობილური კითხვა წამოაყენა. მისი ლოზუნგი შეეხო დამონებულ ერთა ბორკილებისგან დაახსნას—ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპს. თანამედროვე ცხოვრებაში და ძალთა განწყობილებაში მრავალ ერს აქვს მოსპობილი საკუთარ შემოქმედების და ცხოვრების თავისუფალი სარბიელი. ამიტომ ის ერი, რომლისთვის თავისუფლების სურვილი სულ არ შეურყვნია განცდილ მონობას, 1914 წ. წამოყენებულ ლოზუნგებს დიდის იმედით და სიხარულით მიეგებბოდა. მართლაც მსოფლიო ომმა ჰპოვა სრული თანაგრძობა პატარა ერებში. ეს უკანასკნელი დიდ სახელმწიფოთა ჯარებს ბრძოლის ასპარეზზე ავანგარდათ გაუხდენ. მსოფლიო ომმა გაიარა რამდენიმე ფაზისი და ახლა დასრულების მიწურულში შევიდა. სამი წლის ომმა სრულიად შესცვალა წინანდელი ევროპის რუქა. პატარა ერთა უმრავლესობამ საზარი ტრაღედია განიცადა.

ომმა წაახდინა სერბია, ბელგია, შავი მთა, რუმინეთი, და ლიუქსემბურგი.

მოხსენებულ ერებს ამ ჟამად დამოუკიდებლობა დაკარგული აქვთ. თავი რომ დავანებოთ იმ პატარა ერებს, რომელთაც ომამდის თვითმყოფელური ცხოვრება არა ქონიათ ომიდან ელოდენ გათელილ ეროვნულ ცხოვრების აღორძინებას, იბადება კითხვა: რა ბედში დარჩება ომისგან თვით არსებობა—მოსპობილი ერები? შეასრულებენ თავის დაპირებას და აღადგენენ მათს თვითარსებობას დიდი სახელმწიფოები, თუ კარგა ხნით დარჩებიან ისინი თვითმყოფელობას მოკლებული? აი კითხვა, რომელიც საერთო ყურადღებას იქცევს. ომი თავის მიწურულში სულ ცუდ ნიშნებს გვიჩვენებს. დღეს ძლიერი სახელმწიფონი აღარ ლაპარაკობენ პატარა ერთა ინტერესებზე. საკვირველიც არაფერია. დიდ სახელმწიფოებს პატარა ერები მხოლოდ დროებით სჭიროდათ. დღეს მათ უახლოესი რეალი ინტერესები გაუჩნდათ, პატარა ერებზე საზრუნავად აღარ სცალიათ. ამ რიგად დღეს დღეობით მწარედ მოტყუებული რჩებიან თანასწორ ძლიერების არ მქონე ერები გამოქნილმა დიპლომატიამ ისინი მოხიბლა და მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ფერხულში ჩაება. სამი წლის შემდეგ დამდგარი სინაადვილე კი მათ არაფერს საიმედოს პირდება. დღეს დაიჩრდილა ერთა განთავისუფლების ლოზუნგი. თუ რომელიმე ერი განსაკუთრებულ პირობებით სადმე თავისუფლდება ეს უნდა მიეწეროს განსაკუთრებულ გარემოებას და არა საერთო პრინციპს. იმედ-გაცრუებულ, ერებს მწარე გამოცდილება ასწავლის, რომ თავის პატრონი და ბედის გამომჭედი თვითონვე უნდა იყონ,. დიდი, იმპერიალისტური ჟინით გამსჭვალული სახელმწიფოები იმდენად ესარჩლებიან პატარა ერთა ბედ-იღბალს, რამდენად ეს მათ საკუთარ ინტერესებისთვის მიუცილებელია ძველი, რუსეთი სომხეთის განთავისუფლებას ისა ხავდა მიზნად, იმიტომ რომ, ამით მას ოსმალეთში შესევის უკეთესი საბაში ჰქონოდა. როგორც ზემოდ განვაცხადეთ, დღეს თავის მიწურულში ომმა სახე სრულიად გამოიცვალა. დღეს იგი არაფერს ეუბნება უუფლებო მცირე ერებს და მას სახელიც გაუტყდა.. მაგრამ ამით რა? პატარა ერებმა უამბრავი მსხვერპლი გაიღეს- უკეთესი შვილები ომის ღმერთს შესწირეს და დღეს ყოველ გვარად გაწბილებული რჩებიან. ომმა მთელი ქვეყანა ააწიოკა, მაგრამ ამასთანავე დიდი სიკეთეც მოიტანა ძველ წესწყობილების დამსხვრევა რუსეთში მსოფლიო ომმა გვარგუნა. დღეს რუსეთის დემოკრატია საერთაშორისო დემოკრატიას გამოეხმაურა და აუწყა თავთავის ქვეყნებში ძველ რეჟიმის დანგრევა, და თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება მოსთხოვა. ვნახოთ, როგორის პასუხით შეხვდება საერთაშორისო დემოკრატია ხსენებულ მოწოდებას და ანუგეშებს თუ არა იგი იმპერიალისტებისგან განწირულ, ნაკლებ ძლიერების მქონე ერებს.

**ირ-დი.**

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი** 3. მაისი. ოფიციალი. სალამოთი გერმანელებმა გააძლიერეს იერიშები ჩვენის თხრილების წინააღმდეგ ლაფოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ადგილებში. სუასონის მიდამოებში მიუხედავათ მტრის მრავალრიცხოვნებისა გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ. აგრეთვე ბრწყინვალე კონტრიერიშების წარმოებით დავიკავეთ მნიშვნელოვანი პუნქტები. გერმანელები სცდილობდენ შეეჩერებიათ ჩვენი იერიშები. წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. კრანის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში გრძელდებოდა საარტილერიო ბრძოლა. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**ლონდონი.** 5 მაისი. ოფიციალი. ჩვენ დავიკავეთ ბიულეკურის წინა მდებარე ადგილები. წამოვიყვანეთ ტყვეები.

**პარიზი.** 4. მაისი. ოფიციალი გერმანელებმა კონტრიერიშები განაახლეს. ჩვენ მტერზე მოულოდნელი თავდასხმით დავიკავეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ადგილი. კრანის აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. კარიფორნის მთიან ადგილებში გრძელდება ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. მდ. ცრნის დასავლეთით ფრანგის ჯარმა დაიკავა მტრის სიმაგრეები 800 მეტრის სიგრძეზე.

**პარიზი.** 5 მაისი. ოფიციალი. შმენ დედამის მიდამოებში გერმანელები ენერგიულად მოქმედობდენ. კალიფორნის მთიან ადგილებს სასტიკად უშენდენ. მრავალრიცხოვანი იერიშები, რომლებიც ჩვენზე მოჰქონდათ გერმანელებს, მოვიგერიეთ ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით. შევინარჩუნეთ ყველა პოზიციები. შამპანში საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. კორნილიეს მთის მაღლობთან მტრის თარეში შევაჩერეთ. ლოტარინგიაში ჩვენი ერთი მზვერავი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში დაანგრიეს რამოდენიმე სიმაგრე. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერია.

### იტალეთის ასპარეზი.

**რომი.** 4 მაისი. ოფიციალი. მტრის იერიშები იულის ალპების ასპარეზზე მოვიგერიეთ. კიუკოსა და ვოლიჩის შუა მდებარე ადგილებში ბრძოლა გრძელდებოდა. გორიცას აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. ვაგონიავოს მაღლობთან მტერი სერიოზულად დავამარცხეთ. 1 მაისიდან 3 მაისამდე წამოვიყვანეთ 4021 ტყვე.

მათ რიცხვში 124 ოფიცერი. წამოვიღეთ 5 სამხედრო იარაღი.

**სერბეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 2 მაისი, ოფიციალური. სერბიელები თავს დაესხნენ მტერს და ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულნი დაბრუნდენ. ასპარეზის ზოგიერთ ადგილებში ბრძოლის მოქმედებას უამინდობა ხელს უშლიდა.

**პარიზი.** 4 მაისი, ოფიცალ. მოვახდინეთ 25 სერიოზული ოპერაცია.

**ბელგეთის ასპარეზი**

**პარიზი.** 3 მაისი. ოფიციალ. რანსკა პელეს მიდამოებში სტეენტრატის მიმართულებით ბრძოლა ხდებოდა ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით.

**ჰავრი** .4 მაისი. გრძელდება საარტილერიო ბრძოლა.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პარიზი.** 2 მაისი. ოფიციალი. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების 3 აეროპლანი.

**პარიზი.** 4 მაისი ოფიციალი. 25 აპრილიდან 3 მაისამდე პოდპორუჩიკმა ნონგოტერმა ჩამოაგდო გერმანელების 27 აეროპლანი. პოდპორუჩიკმა დორგმა ჩამოაგდო 23-ძი აეროპლანი. პოდპ. დილიამ მე-15, პოდ. შაპუმ მე-11 პოდპ. შიემ მე-9, პოდპორუჩიკმა კაზალმა მე-8, კაპიტანმა ოჟემ. 5.

## ახალი მთავრობის პროგრამა.

**პეტროგრადი,** მაისის 5. ოფიციალი. დროებით მთავრობისაგან. გარდაქმნილი და სარევოლუციო დემოკრატიის წარმომადგენლებით გაძლიერებული დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ სრულის ძალით განახორციელებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას. (

დროებით მთავრობის გამაერთიანებელი საფუძვლები შემდეგია:

1) საგარეო პოლიტიკაში დროებითი მთავრობა ხალხთან თანხმობით სეპარატიულ ზავს უარს ჰყოფს; მიზნად ისახავს საყოველთაო ზავის ჩამოგდებას, რაც შეიძლება მალე. ამ ზავს მიზნად არც სხვათა ქვეყნის დაპყრობა აქვს, არც სხვა ერებზე ბატონობა, არც მათ ეროვნულ სიმდიდრის ჩამორთმევა. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო უნდა იყოს, ეროვნებათა თვითგამორკვევის საფუძვლებზე დამყარებული. დროებით მთავრობას სწამს რა, რომ მეფის რეჟიმის დამხობით და დემოკრატიულ პრინციპების გამარჯვებით, მოკავშირეთა დემოკრატიას მშვიდობიანობის და ხალხთა შორის განმტკიცების საშუალება ეძლევა, დროებითი მთავრობა მოკავშირეებთან მარტის 27 დეკლარაციის საფუძვლებზე დამყარებულ მოქმედებას დაიწყებს.

2) რუსეთის და მისი მოკავშირეების დამარცხება არამც თუ მხოლოდ დიდი უბედურება იქნება, არამედ სამუდამო მშვიდობას და ზემოდ დასახელებულ ზავს შეუძლებელს გახდის. ამიტომ დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ სარევოლუციო ჯარი მტერს ნებას არ, მისცემს. რომ მოკავშირენი დაგვიმარცხოს და შემდეგ მთელის თავის ძალით ჩვენ მოგვაწვეს. ჯარის დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობა და აქტიურ და პასიურ მოქმედების ორგანიზაცია დროებით მთავრობის უახლოვეს მიზანს წარმოადგენს.

3) დროებითი მთავრობა მედგრად შეებრძოლება რუსეთის სამეურნეო საქმის დაშლილობას, დაწესდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი კანტროლი წარმოებისა, ტრანსპორტისა, ვაჭრობასა და სურსათის განაწილებისა და საჭირო შემთხვევაში წარმოების ორგანიზაციაც მოეწყობა,

4) შრომის ყოველმხრივი დაცვა ენერგიულად განვითარდება. 5) მიწის მუშათა ხელში გადასვლის საკითხს დროებითი მთავრობა დამფუძნებელ კრებას მიანდობს, მაგრამ თითონ ამ საკითხისათვის მზადებას შეუდგება. ეხლა კი დროებითი მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, რომ პურის მოსავალი გამრავლდეს, რაც ქვეყანას ძალიან სჭირია. აგრეთვე ეცდება მიწის მუშათა ინტერესების მიხედვით. 6) დროებითი მთავრობა ისწრაფის ფინანსიურ სისტემის დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნას და დიდ ყურადღებას მიაქცევს შეძლებულ კლასებზე ხარჯის გაწერის შემოღებას: მემკვიდრეობის ხარკს სამხედრო ზე-მოგების ხარკს, ქონების ხარკს და სხვ. 7) თვითმართველობის დემოკრატიულ ორგანოების შემოღებას და განმტკიცებას მთავრობა ძალიან ეცდება რაც შეიძლება ააჩქაროს. 8) დროებითი მთავრობა ეცდება, რომ დამფუძნებელი კრება რაც შეიძლება მალე იქნეს მოწვეული.

**მინისტრი სკობელევი.**

**პეტროგრადი.** მაისის 6. შრომის მინისტრსა სკობელევმა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონოვალოვთან ერთად დაათვალიერა ვაჭრობის სამინისტროს შრომის განყოფილება, გაეცნო მუშებს და გადასცა, რომ თანამდებობის აღსრულებას შეუდგება მაისის 8 დან. იგი სთხოვს აგრეთვე კოლოკოლნიკოვს, ლიტერატურ ფსევდონიმით ცნობილ დიმიტრიევს, აღმასრულებელ კომიტეტის წევრს გვოზდევს და ს. დ. ფრაქციის 2-რე სათათბიროს წევრს ანისიმოვს — მინისტრთა ამხანაგების თანამდებობის მიღებას.

**მინისტრთა ნათქვამები.**

**პეტროგრადი.** მაისის 6. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მინისტრ შინგარიევმა სთქვა: „რომ სამშობლო ქვეყანა ვიხსნათ სრული ანარქიისგან და არმიაც უზრუნველ ვყოთ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ერთი ძლიერი მთავრობის შერჩევა, ხოლო ჯარში გარდამწყვეტ მდგომარეობის შექმნა, რათა შესაძლებელი იქმნას რევოლუციის მიერ დაპყრობილი დავიცვათ და არა დავკარგოთ თუ უპასუხისმგებლო ელემენტებს სათანადო წინააღმდეგობას არ გავუწევთ, მაშინ ჩვენი ქვეყანა ვერ შეუდგება შემოქმედებით მუშაობას, ისევ დაიუფლებს ანარქია და რუსეთს დაღუპვის გზაზე დააქანებს.

მინისტრმა პეშეხონოვმა სთქვა: „მომენტისთვის უსაჭიროესი დანიშნულებაა რაც შეიძლება შეიქმნას ახალი, ავტორიტეტული მთავრობა, რომელსაც მასსა ნდობით შეხვდება, მთავრობის ავტორიტეტობისთვის საჭიროა ხალხის აღფრთოვანება და უდიდესი სურვილის შთანერგვა დაწყებულ საქმის დასასრულებლად. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ახალი მთავრობა შესძლებს ხალხის პსიხიკის გაგებას, რათა ხალხი — მასსა შემოქმედებით მუშაობაზე დააყენოს. სასურსათო საკითხის შესახებ პეშეხონოვმა სთქვა: უკმაყოფილების მოსასპობლად საჭიროა ყოველიფრის თანასწორი და სამართლიანი განაწილებაო.

სამართლის მინისტრმა პერევერზოვმა სთქვა, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ყველაფერი ხალხის წინაშე უნდა ხდებოდესო. ძველი რეჟიმის ელემენტები სავსებით გაძევებულ უნდა იქმნენ თანამდებობიდანო. საჭიროა საექვო პირთა პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

მინისტრმა კონოვალოვმა სთქვა: კოალიციურ სამინისტრო მოკავშირეებთან ერთად საპატიო ზავის ჩამოგდებასთან გვაახლოვებსო. თუ არმიაში სულის უმაღლესი სიმტკიცე და ომის გაგრძელების სურვილი შევქმენი, მაშინ მტერი თვითვე გაჰფანტავს ჩვენი დაპყრობის ილიუზიებს და პირობებზე მალე დაგვეთანხმებაო. მეტად მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. მართვა-გამგეობა სავსებით ხალხის ხელში გადავიდა. თუ დამარცხდება ეს მთავრობა, მაშინ რეაქციას ფართე ასპარეზი მიეცემაო ახალი მთავრობის განმტკიცება თავდები იქნება მტერზე გამარჯვებისა და დემოკრატიულ იდეების აღსრულებისაო.

მინისტრმა მანუილოვმა სთქვა: „მომენტის დანიშნულებაა ომის გაგრძელება რაიც მჭიდროდ შეკავშირებულია ახალ მთავრობის განმტკიცებასთან. ამ თვალსაზრისით ახალს კომბინაციას დიდი უპირატესობა აქვს პირველთან შედარებით. ახლა ყველაფერი ახალ მთავრობაზეა დამოკიდებული, რამდენად ძალას და უნარს გამოიჩენს ქვეყნის მართვა-გამგეობის წარსამატებლად.

მინისტრმა ჩერნოვმა სთქვა: მართალია, წინანდელი მთავრობაც რევოლიუციამ, წარმოშვა, მაგრამ მან ხელი ვერ შეუწყო რევოლიუციას იმიტომ, რომ იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მას, სათავეში კი ვერ ჩაუდგაო. ჩვენ უნდა რევოლუციას მიუძღვებოდეთ. მას არა თუ გზა უნდა ვუჩვენოთ, არამედ გავუსწოროთ კიდეც ეს გზა. აი სწორედ ამიტომ შევედით ამ მთავრობის შემადგენლობაში მეორე ჩვენი დანიშნულებაა აგრარულ საკითხთა კონფლიქტების გარკვევა და მორიგება. უეჭველია, დამფუძნებელი კრება იხელმძღვანელებს პრინციპით: „მიწა მშრომელ ხალხსაო“, ამიტომაც დღესვე შეგვიძლიან ამის პრინციპით ვიხელმძღვანელოთ ყოველგან. მესამე ჩვენი მიზანი ისაა, რომ მთელს რუსეთში დაარსდეს გლეხთა დეპუტატების საბჭოები და სამიწადმოქმედო კომიტეტები.

მინისტრმა წერეთელმა სთქვა: რომ დარწმუნებული არ ვყოფილიყავით, რომ კოალიციური კაბინეთი გახდება ერთადერთ მტკიცე მთავრობად ხალხის ნდობით აღჭურვილი, მაშინ ვერ გადავწყვეტავდით შესვლას, ზოგიერთს შემცდარი წარმოდგენა აქვთ, ვითომც რახანც სოციალისტები დავთანხმდით ბურჟუაზიასთან ერთად მუშაობაში, ამითი დათმობის გზას დავდგომოდით. აქ დათმობა კი არ არის, არამედ სწორი და პროგრესიული განვითარება დემოკრატიულ იდეებისა. სოციალისტები მხოლოდ მაშინ დავთანხმდით, როდესაც ჩვენი პირობები მიღებულ იქმნა. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ხალხი ჩვენთანაა, რომ არსდება ძლიერი მთავრობა, რომელიც შეძლებს სალს გამგეობას, ანარქიასთან და თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად.

ობერ-პროკურორმა ლვოვმა სთქვა: „მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ძლიერი მთავრობის დაარსება, რომელიც შესძლებს რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლება უზრუნველ ჰყოს რუსეთის ხალხისთვისაო. ამით ომიც სასურველად დასრულდება და სახელმწიფოც ასცდება ექსცესებს და ანარქიას.

მინისტრ ნეკრასოვის სიტყვაც თითქმის განმეორებაა სხვა და სხვა მინისტრების სიტყვებისა. მისი აზრით საჭიროა ხალხი სათანადოდ შეემზადოს დამფუძნებელი კრების შესახვედრად.

მინისტრ-პრეზიდენტმა დაახასიათა ახალი მთავრობა, თუ რატომ არის იგი ძლიერი, როგორც შეიერთა ყველა მიმართულების წარმომადგენლები ხალხის ნდობის მოსაპოვებლად და სხვათა შორის სთქვა: „რუსის ხალხს არ შეუძლიან გულგრილად უყუროს ბელგეთის ბედს' რუმინეთისა და სერბეთის საზარელს მდგომარეობას. ფრონტზე დამყარებულია ფაქტიური დროებითი შეჩერება, რამაც გერმანეთის კანცლერს საბაბი მისცა რუსეთისთვის დამამცირებელი ბრალდება წამოეყენებინა ვითომც ჩვენ მზად ვიყოთ სეპარატიულად ზავით შევეკრათ; უნდა ერთხელ და უკანასკნელად ვაცნობოთ და დავარწმუნოთ ყველანი, რომ არავის არა ჰსურს განცალკევებით ზავზე ფიქრი. ჩვენი საზრუნავია შინაურს ცხოვრებაში დავამყაროთ მშვიდობიანობა და წესიერება. სასტიკი კანონის დამორჩილება, ყველასთვის თანასწორი წესი და მოვალეობის შესრულება. ახალმა რუსეთმა უნდა წინ იყუროს და არა უკან. ახლა ზედმეტი მომხრე მოგვემატა ამერიკის სახით. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ყველანი, რომ მუდამ ჩვენს მოკავშირეებთან ვიქნებით და მათს ჭირსა და ლხინს გავინაწილებთ; რომ ზავი დაჩქარდეს უნდა ახალგაზდა რუსეთმა მოიცვას ძლიერი ძალა, საზოგადო ენტუზიაზმით მოიცვას მებრძოლნი და მოკავშირეებთან ერთად ებრძოლოს ჯერ კიდევ შეურყეველს მტერს..

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

## დეპეშები

**შავი ზღვის ფლოტის დელეგატების უკანასკნელი თათბირი.**

თათბირზე მოვიდნენ შავი ზღვის ფლოტის დელეგატები. კრება მოსულებს ტაშის ცემით შეეგება. სიტყვა წარმოსთქვა ბატკინმა. იგი მოუწოდებს ყველას მხარი დაუჭირონ მოკავშირეებს. ორატორის აზრით მოღალატეებათ უნდა ჩაითვალონ ისინი ვინც მომხრენი არიან სეპარატიული ზავისა. შავი ზღვის ფლოტი თავის დღეში ასეთ მოღალატეებს არ გაჰყვებაო კრებაზე გენ. ლეიტენანტის შმიდტისა და მატროს მარტინკოს პატივსაცემად „საუკუნო ხსენების ჰიმნი იგალობეს. შემდეგ ხმის უმეტესობით 150 — ით 14-ის წინააღმდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლუცია რომელიც აღნიშნავს სასურსათო საქმეთა მოუწესრიგებლობას. არმიის საომარი მოქმედების შესუსტებას. ზემო ჩამოთვლილ მიზეზთა გამო რევოლუციით მოპოვებულ რუსეთის თავისუფლებას საფრთხე მოელის, ხსნა კი შეიძლება მხოლოდ მთავრობის შექმნით, რომელსაც ნდობის თვალით შეხედავს მშრომელი მასა და მცხოვრებთა ურთიერთ შორის თანხმობის განმტკიცება და წესიერების დაცვა.

კრება სალამს უგზავნის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს: აგრეთვე გლეხთა დეპუტატებს. ამასთანავე უსურვებს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატებს, რომ მათ ზომები მიიღონ ომის სალიკვიდაციოთ, რომელიც დაპყრობითი ხასიათისაა, აიძულონ ყველა სახელმწიფო, ხელი აიღონ კონტრიბუციაზე და ანექსიაზე, მიზნის მისაღწევად საჭიროა რევოლუციური ჯარის გაძლიერება, რომელიც დარაჯათ უდგას, რუსეთის თავისუფლებასო.

## რატომ არა ვართ სოციალისტები?

მეოთხე საუკუნის გასულს ქრისტეს შობამდის საბერძნეთის უდიდესმა ფილოსოფოსმა (ბრძენმა), პლატონმა, ორი წიგნი დასწერა იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს კეთილად მოწყობილი, იდეალური სახელმწიფო.

პირველი წიგნი „სახელმწიფო“ ეხება მაღალ კლასებს. მისი ფიქრით, სახელმწიფოს საქმეებს უნდა განაგებდენ ან რამდენიმე ბრძენი (ფილოსოფოსი) ან ისეთი მეფენი, რომელთაც უყვარსთ ჭეშმარიტება.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვან, კლასს უნდა შეადგენდენ მეომრები.

ბრძენ მმართველებსა და მეომრებს არ აქვსთ კერძო საკუთრება. მათ არჩენს მდაბიო ხალხი.

ახალთაობის აღზრდა განისაზღვრება გიმნასტიკის, მუსიკისა და ხელოვნების სწავლებით.

ხელოვნურ ნაწარმოებთ დაედებათ საშინელი ცენზურა. სასტიკად აიკრძალება ისეთი ნაწარმოები, რომელიც ავნებს ახალთაობის ზნეობას. მაგალითად, ჰომეროსის უკვდავ ქმნილებათაგან თითქმის არა უნდა დარჩეს-რა.

მეომრების შვილები რომ ლამაზი და კარგები გამოვიდენ, მმართველნი თვითონ შეაუღლებენ ვაჟებსა და ქალებს. მაგრამ ეს შეუღლება დროებითი იქნება: ცოლ-ქმარს ხშირად გაყრიან და შესცვლიან.

მახინჯ ახალ დაბადებულთ დახოცავენ.

ბავშს ერთი წლის შემდეგ, როცა ძუძუს მოაშორებენ, წაართმევენ დედას და საზოგადო სახლში აღზრდიან.

მეომრების ცოლები იმასვე ისწავლიან, რასაც მათი ქმრები.

მეორე წიგნი — „კანონები“ — ეხება მდაბიო კლასებს, რომელთაც ის უწოდებს საუნჯისმოყვარეთ (ხრემატოფილებს). ისინი უნდა იყვნენ მიწისმომქმედნი, მაგრამ უფლება ექნებათ დაიმუშაონ მიწები მონების ხელით.

მიწების გაყიდვის უფლება არ ექნებათ. მიწა-წყალი მამისაგან უფროს ვაჟს გადაეცემა.

ყაჭობა და მრეწველობა იქნება მონების ხელში. ვაჭრობის ნება ექნებათ აგრეთვე უცხოელებს.

ბრძენი ქალები იზრუნებენ, რომ ულამაზო თაობა არ გაჩნდეს და არ გაიზარდოს.

ხელოსნობასა და ვაჭრობაზე ისეთი ზედამხედველობაა დაწესებული, რომლის მსგავსი არა ყოფილა არც საშუალ საუკუნეებში.

ხრემატოფილებმა მაღალი კლასების მსგავსად პური ერთს სუფრაზე უნდა სჭამონ.

აღკრძალულია ფუფუნების ნივთების შემოტანა და უპირველესი საჭიროების საქონლის გატანა.

40 წლამდის მოქალაქე ვერ გავა თავისი მამულიდან, თუ სახელმწიფომ საჭიროდ არ დაინახა.

ხრემატოფილის შვილი უნდა დარჩეს ხრემატოფილად: მეომრად ვერ გახდება.

როგორც მკითხველი ხედავს, პლატონის სოციალისტური ანუ კომუნისტური სახელმწიფოს ანაგებს საფუძვლად უდევს ბატონობა, უფროს-უმცროსობა, მბძანებლობა, ძალადობა. და, მართლაც, სხვა გზით შეუძლებელია შეწვეპებულ იქნეს ამგვარი საზოგადოება.

ქრისტიანობა, როგორც სარწმუნოება, არ იზიარებდა კომუნიზმის, ანუ სოციალიზმის, პრინციპს. აღსანიშნავია ქრისტიან კომუნისტთა შორის გნოსტიკი კარპოკრატი, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ქრისტეს შობამდის. იგი ქადაგებდა კერძო საკუთრებისა და ოჯახის გაუქმებას.

1516 წელს გამოვიდა ტომას მორუსის წიგნი: „საუკეთესო რესპუბლიკის წყობილებისა და კუნძულ უტოპიის შესახებ“.

ტომას მორუსი ჰუმანისტი იყო და დიდი კოდნა ჰქონდა. იმავე დროს ის იყო შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე და ბოლოს ლორდ-კანცლერის თანამდებობა მოიპოვა. ტომას მორუსამდის არა-აზნაურს ან არა-სასულიერო წოდებას არ ღირსებია ეს თანამდებობა. 1534 წ. მეფემ მოსთხოვა მას ახალი ცოლის შერთვის დამოწმება. მან უარი უთხრა და დაპატიმრებულ იქნა ტოუერში.

იმავე დროს ინგლისში გაიმარჯვა რეფორმაციამ, რომელსაც ტომას მორუსი არ თანაუგრძნობდა. პარლამენტის აქტის ძალით მას უნდა ეცნო მეფე ინგლისის ეკლესიის თავად. უარი სთქვა, არ მიიღო ფიცი და სიკვდილით იქნა დასჯილი 1535 წელს.

როცა მისი „უტოპია“ გამოვიდა, ის 38 წლის იყო. წიგნის უმეტესი ნაწილი ამბავია, რომელსაც მოგვითხრობს „ხიტლოდეუს“ („მოლაყბე“). ხიტლოდეუსი გვიამბობს, „უტოპიაზე“ კერძო საკუთრება არ არის და ამ ქვეყნიური სამოთხეა განხორციელებულიო.

მაგრამ რას წარმოადგენს ეს სამოთხე?

ორი წლის განმავლობაში თვითეული მოქალაქე — მიწის-მუშაა.

დღეში 6 საათის მუშაობაა.

ყველაფერი უხვად არის, რადგან ფუფუნების საგნები არა მზადდება და მუშაობა ამხანაგურია, შენაწევრებულია.

სახელმწიფო თანასწორად ანაწილებს ქონებას მოქალაქეთა შორის.

შვილი განაგრძობს მამის საქმეს და ხელობას.

არიან დაქირავებული მუშები და მონებიც.

დაცულია აგრეთვე ოჯახი, თუმცა ქალს უფლება აქვს განშორდეს ქმარს. მაგრამ, ვიდრე არ განშორებია, ცოლი ემორჩილება ქმარს.

ქალს უფლება აქვს იყოს მეომრად.

სარწმუნოების აღსარება თავისუფალია, მაგრამ, ვისაც ღმერთი და სულის უკვდავება არა სწამს, მას არაფერ თანამდებობას არ ანდობენ და კაცად არა სთვლიან, თუმცა არა სჯიან.

მუშაობის დრო და წესი განსაზღვრულია. მუშებს ყურს უგდებენ ზედამხედველნი.

ერთი სიტყვით, ტომას მორუსის „უტოპიაზედაც“ არ აქვს პიროვნებას თავისუფლება და ბატონობისა და ძალადობის საფუძველზეა აშენებული ცხოვრება.

დომინიკელი ორდენის ბერი ტომას კამპანელა კალაბრიელი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, როცა პაექრობდა გამოჩენილ მეცნიერებთან იტალიის სხვა და სხვა ქალაქში და ყველას აკვირვებდა თავისი ცოდნით.

იმავე დროს იგი ბუნებით მეამბოხე იყო, მოაწყო შეთქმულობა ბერებისა ისპანიელთა წინააღმდეგ და დამწყვდეულ იქნა ნეაპოლის ციხეში (1600 წელს), სადაც 26 ნახევარ წელს დაჰყო. შვიდჯერ აწამეს, მაგრამ ვერ გასტეხეს. მისმა ძლიერმა მნებელობამ მისი მტანჯველნიც კი გააკვირვა და ბოლოს იმდენად შეუსუბუქეს სასჯელი, რომ წერის ნება დართეს. და ყველა თავისი უმთავრესი თხუზულება ციხეში დასწერა.

მაგრამ დევნა ციხიდან გამოსვლის შემდეგაც არ აშორდა და პაპის მფარველობამაც ვერ იხსნა. 1639 წ. ის გაიქცა საფრანგეთში რიშელიესთან. დიდის ამბით მიიღეს ავინიონში. შემდეგ კი $1^1/_2$ წელი გაატარა პარიზში და გარდაიცვალა იქ 1639 წელს.

1611 წელს ნეაპოლის ციხეში დასწერა თავისი „civitas solis“ (მზის ქალაქი), რომელიც გამოქვეყნდა 12 წლის შემდეგ მაინის ფრანკფურტში, სადაც აღმოჩნდა დედანი რაღაცა მანქანებით.

ეს „მზის ქალაქი“ წარმოადგენს კამპანელლას ნატვრას, იდეალს. მაგრამ როგორია ეს სამოთხე? მაშინ-როდესაც ტომას მორუსის „უტოპიაზე“ ხალხი არჩევს მმართველებს, კამპანელლას „მზის ქალაქში“ ყველაფერი უმაღლეს მმართველებზე ჰკიდია. ქალაქის უზენაესი უფროსი არის სასულიერო პირი მეტაფიზიკი, რომელიც ნიშნავს სამ თანაშემწეს, ანუ მინისტრს, სინს, პონსა და მორს. უმაღლეს მთავრობას ხალხი არ ირჩევს და მმართველნი თვითონ ნიშნავენ თავისი წევრების მონაცვლეებს.

**მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების დადგენილება.**

**სამარა.** 5 მაისი. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატებმა დაადგინეს მაზრის ახლო მახლო სოფლებში გაიგზავნოს დეპუტაცია, რათა იშუამდგომლონ მცხოვრებთა წინაშე ფრონტზე პურის გაგზავნის შესახებ.

**ვიატკა.** 5 მაისი. მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შეაგნებიონ სოფლის მცხოვრებთ, რომ აუცილებელია ბრძოლის ველზე მეომარ ჯარისკაცთათვის პურის გაგზავნა.

**გენერ. რუზკი.**

**პსკოვი.** 4 მაისი. გენერალ. რუზკის წასვლის გამო ჯარმა მანიფესტაცია გამართა, საყვარელი სარდლის პატივსაცემად. მანიფესტანტები, რუზსკის სურათებით ხელში და ბაირაღებით ქუჩებში განაგრძობდენ სიარულს. რუზსკის თანაგრძნობა და პატივისცემა გამოხატეს აგრეთვე ხანგრძლივი „ურას“ ძახილით. ბაირაღზე რომელიც რუზსკის პატივსაცემად გაეკეთებიათ, ეწერა „გთხოვთ ნუ მიგვატოვებთო“.

**პურის საკითხი.**

**სარატოვი.** 4 მაისი. 2 კვირის განმავლობაში შეგროვდა მილიონი ფუთი პურის ხორბალი. ნოვოუზენსკის პურის ბეღლები გავსებულია.

**შაქრის კითხვა.**

**პეტროგრადი** 4 მაისი. სახელმწიფო სასურსათო კომიტეტმა შეადგინა შაქრის განაწილების სქემა. მცხოვრებლები ამ სქემის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფა: სოფლის, ქალაქისა და შერეულისაგან. სოფლის მცხოვრებლები მიიღებენ თვეში გირვანქა შაქარს. მეორე-ქალაქის გირვანქა ნახევარს. მესამე შერეულ კატეგორიაში შედის ყველა ის ქალაქები, რომელთა მცხოვრებლები 50000-სს აღემატებიან და სახელმწიფოს თავდაცვისათვის მომუშავენი.

**სამხედრო მინისტრის კერენსკის ბძანება.**

**პეტროგრადი.** 5 მაისი. მივიღე რა ჩემს თავზე სამხედრო საქმეთა მოვალეობის აღსრულება, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო: არავითარი თხოვნა უმაღლეს სამხედრო პირთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არ იქნება ჩემ მიერ შეწყნარებული. დეზერტირები აუცილებლივ უნდა დაბრუნდენ თავის ადგილზე 15 მაისამდის, წინაალმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებიან.

ა. კერენსკი.

**მკვლელობა.**

**კიევი.** 5 მაისი. სამხედრო დეპუტატი ჯარის კაცი პოლიაკოვი, რომელიც ირიცხებოდა წესრიგის დამცველ კომისიაში, პოსტზე მდგარმა ჯარის კაცმა შემთხვევით მოჰკლა.

**დეზერტირები.**

**ჟიტომირი.** 5 მაისი. გაჩხრიკეს მრავალი სახლი და დაწესებულება. ჩხრეკის დროს დაიჭირეს 20,000 დეზერტირი.

**მოწოდება.**

**მინსკი.** 4 მაისი. აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლების ყრილობის სახელით, მოწოდებით მიმართა ბრძოლის ველზე მყოფ ჯარისკაცთ, რათა მათ ყოველგვარი დამოკიდებულება შესწყვიტონ გერმანელ ჯარისკაცებთან.

**დასაფლავება**

**სევასტოპოლი.** 5 მაისი. დაასაფლავეს გენ. ლეიტინანტის შმიდტისა, ერთი კონდუქტორისა და ორი მატროსის ნაშთნი, რომელნიც 1905 წელში ემსხვერპლენ თავისუფლებას.

**მთავარსარდალთა გამგზავრება.**

**პეტროგრადი.** 4 მაისი. გაემგზავრენ ბრძოლის ველზე მთავარსარდალნი: ალექსეევი, ბრუსილოვი, გურკო, შჩერბაკოვი, და დრაგომიროვი.

**გლეხთა დეპუტატების ყრილობა.**

**პეტროგრადი.** 4 მაისი. გაიხსნა სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ყრილობას დაესწრო 561 წარმომადგენელი. საპატიო წევრად აირჩიეს ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. მეორე საპატიო წევრად არჩეულ იქნა ჩერნოვი, ფრანგ გლეხთა სახელით ყრილობას მიესალმა საფრანგეთის მინისტრი ტომა. შინგარევმა იმედი გამოსთქვა, რომ ხალხი არ დაიშურებს არავითარ ღონეს, რათა ბრძოლის ველზე მყოფ მეომრებს პური მიაწოდოს.

**ძარცვა-გლეჯა.**

**ორიოლი.** 4 მაისი. გახშირდა ძარცვა-გლეჯა და ქურდობა.

**დეზერტირობა.**

**ჟიტომირი.** 3 მაისი. გადასწყვიტეს დაიჭირონ დეზერტირები და დაუყონებლივ ბრძოლის ველზე გაგზავნონ. აღიკრძალოს აგრეთვე ჩუმად არაყის გამოხდა.

**საეპარქიო ყრილობა.**

**მინსკი.** 4 მაისი. საეპარქიო ყრილობაზე წინადადება შეიტანეს სასულიერო პირებმა, რათა დაიხურონ მონასტერი და ფული, რაც მონასტრის შენახვას უნდებოდა, გადაეცეს სახელმწიფოს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

**უნივერსიტეტის გაუქმება.**

**პეტროგრადი.** 5 მაისი. განათლების მინისტრმა წინადადება შეიტანა, გაუქმებულ იქნას დონის როსტოვში ვარშავის უნივერსიტეტი. სტუდენტებს კი ნება ეძლევათ გადავიდენ სხვა უნივერსიტეტებში.

**სიწყნარე.**

**ნიჟნი ნოვგოროდი.** 5 მაისი. კომისარიატი აცხადებს დროებით მთავრობას, რომ ხსენებულ ქალაქში სიწყნარეა. უწესოებანი, რომელიც მოახდინეს ჯარისკაცებმა აგრალურ ნიადაგზე, ჩავაქრეთო.

---

მხოლოდ მდაბალი მოხელეების არჩევა შეუძლია ხალხს იმ პირობით, თუ მათ მათს არჩევას დაამოწმებენ უზენაესი მმართველნი.

მეცნიერებათა მინისტრი ყურს უგდებს, რომ მეცნიერებმა ისეთი არა სთქვან-რა, რაც მინისტრის აზრით სავნოა საზოგადოებისთვის.

სკოლებში სწავლობენ მხოლოდ მეტაფიზიკას, უკეთ ვთქვათ, იმას რაც კამპანელლამ დასწერა, მთავრობის ნება დართვით.

ქალები და ბავშები ზიარი არიან.

კერძო საკუთრება არ არის.

მთავრობა ზრუნავს, რომ შეაუღლოს მხოლოდ ტანმთელნი. ტანმთელობისათვის ზედამხედველობა მეტად სასტიკია. ტანსაცმელი თვით კამპანელლას მიერ არის დაწესებული. ერთი სიტყვით, მან თავისუფლების არა იცოდა-რა.

თავის მეორე თხზულებაში — „de monarchia Hispanica“ — ის ამბობს: ისპანიამ უნდა დაიპყრას ქვეყნად და გადააქციოს ერთს დიდ საეკლესიო ქვეყანა, რომლის პირველ მინისტრად (პონად) უნდა იყოს ისპანიის მეფე.

როგორც მკითხველი ხედავს, კამპანელლას ნანატრ სამოთხეში თავისუფლების ნასახიც კი არ არის.

1651—1652 წ. გამოვიდა გერარდ ვინსტენლის თხზულება: „თავისუფლების კანონი, როგორც პროგრამა, ანუ აღდგენა ჭეშმარიტი მთავრობისა.“ მის სამოთხეში მოსპობილია კერძო საკუთრება, ჰირნახული და მთელი საქონელი საერთო ბეღლებშია შეკრებილი და თვითეულს იმდენი ეძლევა, რამდენიც სჭირდება. მიწების გაყიდვა და ვაჭრობა აღკრძალულია, ინგლისელები ვაჭრობენ უცხოელებთან საერთო ბეღლების საქონლით. სარწმუნოება აღარ არის. ოჯახი კი რჩება. იმავე დროს ძალადობა არ სუფევს და მწარმოებელი თავისუფალია.

ცხადია, რომ საერთო ბეღლები და თანასწორი განაწილება ერთი მხრით და თვითეული მწარმოებლის თავისუფლება მეორე მხრით — ერთი მეორეს უარყოფს. აღსანიშნავია, რომ ვინსტენლი შემდეგ კვაკერად გახდა (ერთგვარი სარწმუნოებრივი სექტაა).

სკოლის მასწავლებელმა „მორელლიმ“ ჯერ გამოსცა „დაღუპვა მცურავ კუნძულთა“, შემდეგ კი (1755 წ.) „ბუნების კოდექსი“.

პირველი თხზულება საოცნებო იგავებისაგან შესდგება, მეორე კი უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მორელლის „ბუნების კოდექსი“ იყო „დაბადება“ საფრანგეთის რევოლუციის დროს მოქმედი კომუნისტების — ბაბეფისა და მის მიერ შექმნილი საზოგადოების წევრებისა („თანასწორთა საზოგადოების“).

მორელლის სამოთხეც ძალადობაზე ბატონობაზე და კანონთა უცვალებლობაზეა აშენებული.

ამ გვარსავე ძალადობასა და ბატონობაზეა აშენებული მეცხრამეტე საუკუნის ყველა კომუნისტისა და სოციალისტის საოცნებო სამოთხეებიც.

**ვასილ წერეთელი.**

(დასასრული ხვალ.)

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა**

მაისს 28, თბილისში მოხდება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა

ყრილობა განიხილავს პარტიის პროგრამას, წესდების ტაქტიკის და სხვა მორიგ საკითხებს.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

## ახალი ამბავი.

✦ **ჟანდარმერიის საბუთების განხილვა.** ხვალ 11 მაისს დანიშნულია ჟანდარმერიის სამმართველოს საბუთების განხილვა. საბუთებს განიხილავენ ქუთაისში არსებულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელნი. თითოეული პარტიიდან მიწვეულია 5 კაცი. განმხილველმა კომისიამ დაადგინა, ჟანდარმთა ქაღალდები ძველ ბინიდან ახალ ბინაზე გადმოიტანონ გასარჩევად.

✦ **სასურსათო კომიტეტში.** დღეს 10 მაისს მოხდება ქუთაისის სასურსათო კომიტეტის თათბირი, რომელიც განიხილავს უახლოეს კითხვებს: ფქვილის შეძენა და მისი თანასწორი განაწილება.

✦ **ქართველ მხედართა კავშირი.** ქუთაისში უკვე დაარსდა ქართველ სამხედრო პირთა კავშირი, რომელიც ამ დღეებში გახსნის თავის კლუბს და დაიწყებს მოქმედებას.

✦ **აღმ. კომიტეტმა** გადასწყვიტა ყველა კრებების დადგენილებათა ოქმები წინასწარად იქმნეს განხილული ცალკე კომისიისგან და შემდეგ გადაეცეს გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. დღეიდან გაზეთში დასაბეჭდი ოქმი წინასწარად შემოწმებული უნდა იქნეს ხსენებულ კომისიისგან.

✦ **შაქრის გატანა.** 8 მაისს სადგ. რიონზე დააკავეს ქუთაისიდან მალულად გატანილი რამდენიმე ფუთი შაქარი და ქუთაისის სასურსათო კომიტეტს გადასცეს.

✦ **გუშინ უქმის გამო** აღმასრულებელ კომიტეტში და სხვა დაწესებულებებში მუშაობა არ ყოფილა.

✦ გამოვიდა გაზეთ „**ხალხის თავისუფლების**“ს მე 10 ნომერი.

✦ **ახალი სამინისტროები.** დროებითი მთავრობის ჩქარ სხდომაზე საჭიროდ სცნეს ახალი სამინისტროების შექმნა. დაარსდა ფოსტა ტელეგრაფის ცალკე სამინისტრო, შრომისა, სურსათისა და სახელმწიფოს შინაურ ყოფაცხოვრების პირობების უზრუნველყოფისა.

✦ **რუსეთის სამეურნეო სასოფლო აღწერა.** დროებითი მთავრობამ დაადგინა მოკლე ხანში მოახდინოს სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო აღწერა და სამუშაო მიწების საერთო რაოდენობის გამორკვევას.

✦ **კ. ჩხეიძის ავათმყოფობა.** პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ მუშათა საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე ავად გამხდარა.

## თბილისი.

✦ **პ. ინგოროყვას მოხსენება.** ხუთშაბათს, 11 მაისს, ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ უნდა გადაიჭრას ეროვნული საკითხი კავკასიაში“. სხდომაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ. დასაწყისი სხდომისა დილის 11 საათზე.

✦ **ოპერა ქართულად.** ქართულ საოპერო 8 ნახევარ საათზე ახალი კლუბის საზაფხულო თეატრში პირველად ქართულ ენაზე იდგმება ცნობილი ოპერა კომპოზიტორ დელიბ-ისა ლაკმე, თარგმანი კ. დოდაშვილისა. ეს ოპერა დანიშნული იყო აპრილის 23, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ვერ დაიდგა. ამ საღამოს ლაკმეს პარტიას შეასრულებს სასიამოვნო კოლორატურული სოპრანოს მქონე მომღერალი ქართველი ქალი ო. ს. კალანდაძისა.

✦ **სოციალ ფედერალისტთა კონფერენცია.** მაისის 7-ს, დღის 11 საათ. „ახალი კლუბი“-ს დარბაზში დაიწყო საქართველოს სოც.-ფედერალისტთა დელეგატების კონფერენცია. 200მდე კაცი დაესწრო კრება გახსნა გ. ლასხიშვილმა. შემდეგ არჩეულ იქმნა კონფერენციის პრეზიდიუმი: საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ზდანოვიჩი და კოტა აბაშიძე; თავმჯდომარეს ამხანაგებად ი. ბარათაშვილი, გ. ლაღიძე, ს. მდივანი და ვ. კიკნაველიძე; მდივნებათ. დადიანი, მ. საყვარელიძე გ. ფარქოსაძე და ე. ებრალიძე. კრების გაგრძელება შემდეგისათვის გადიდვა.

✦ **ხარლამოვის წასვლა ბათუმში.** კ. ა. ხარლამოვი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, მაისის 6 ს ბათომს წავიდა.

## „ალიონს“.

იმ წერილის გამო, რომელიც „ალიონის“ მე-3 № შია მოთავსებული წამებული მგოსნის ი. ევდოშვილის შესახებ, სადაც მის უკანასკნელ მოღვაწეობას იწუნებთ და ყოვლად დაუმსახურებელ ბრალსა სდებთ განსვენებულის სახელსა, ტაქტიკურის მოსაზრებით ჯერ ჯერობით პასუხს არ გავცემთ.

გვიკვირს კი ერთი რამ: ასეთი მარცხი როგორ მოუვიდა პ. საყვარელიძეს, რომლის გაზეთიც ჩვენს დაქსაქსულ და აფორიაქებულ პარტიულ ცხოვრებას ზეთის ხილის ტოტით მოევლინა და ყველას სასურველ საერთო შეთანხმებულ მოქმედებისაკენ მოუწოდა.

**დ. თომაშვილი.**

## დამფუძნებელი კრების სამზადისი.

დროებით მთავრობამ დაარსა იურიდიული კომისია, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონის შესადგენად საკითხებს ამზადებს. ამ კომისიამ შეიმუშავა დაახლოებითი ნუსხა იმ საკითხებისა, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონს შეეხება. ნუსხა უკვე დაეგზავნა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საარჩევნო კანონის შემდგენელ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ. კომისია მაშინ დაიწყებს მუშაობას, როდესაც ორგანიზაციები მისთვის წევრებს აირჩევენ. მინისტრთა თავმჯდომარის მიერ უკვე დაეგზავნათ ორგანიზაციებს შესაფერი წერილები. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უპარტიო ორგანიზაციები, ისე პარტიულნი. პირველთა რიცხვში არიან: მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო, სრულიად რუსეთის კოოპერაციათა ყრილობის საბჭო. გლეხთა დეპუტატების საბჭო და გლეხთა შეერთებული კავშირი, მეორეთა რიცხვში არიან შემდეგი პარტიები (მხოლოდ მათი ცენტრალი ორგანოები): ნაციონალი პროგრესისტები, ცენტრი, „ოქტომბრისტები-ზემცელები“, მემარცხენე ოქტომბრისტები, პროგრესისტები, სახალხო თავისუფლების პარტია, შრომის ჯგუფი, ს.-დ. (ამ პარტიების სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტში თავიანთ წარმომადგენლები ჰყავთ), სოც.-რევოლუც., სახალხო სოციალისტები და ბოლშევიკები (ამათ სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტში წარმომადგენლნი არა ჰყავთ.) პარტიათა გარდა კომისიაში მოწვეულნი არიან აგრეთვე ეროვნული ჯგუფები. დასავლეთის პოლონელები, უკრაინელები, ებრაელები, ლატიშები, ესტონელები, ქართველები მაჰმადიანები და სომხები. ამათ გარდა კომისიაში მოწვეულ არიან აზიის რუსეთის მცოდნე პირები. პარტიები და ჯგუფები თითო წარმომადგენელს გაჰგზავნიან, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები ოთხ-ოთხს, დანარჩენები ორორს. ამ არჩეულ პირთა გარდა, კომისიაში მონაწილეობას მიიღებს მთავრობის მიერ დანიშნული 10 კაცი, 9 საარჩევნო სამართლის მცოდნე, ერთიც სტატისტიკოსი. ამათ მთავრობა მალე დანიშნავს, ასე რომ კომისიის მუშაობა ამ ორ კვირაში დაიწყება. კომისიაში 41 წევრი იქნება. დამფუძნებელ კრების არჩევანი უნდა მოხდეს საერთო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით.

აი ის საკითხები, რომლებიც კომისიამ უნდა შეიმუშაოს.

**აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლების პირობები.**

1) რა წლოვანების ადამიანს შეუძლიან აქტიურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ეს წლოვანება საერთოდ სამოქალაქო სრულ წლოვანებას უნდა უ[illegible], თუ უფრო მეტი ან ნაკლები უნდა იყოს. სამხედრო პირთათვის უფრო ნაკლებ წლოვანობის დაწესება ხომ არ არის საჭირო, ვიდრე საერთოდ მოქალაქეთათვის? 2) აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებათა პირობანი ერთნაირი უნდა იყოს, თუ სხვა და სხვანაირი? [illegible] დამფუძნებელ კრებაში [illegible] საარჩევნო [illegible] თავისი წევრი უნდა აირჩიოს, თუ შეუძლიან, რომ სრულიად რუსეთის მოქალაქეებში ამოირჩიოს თავისი კანდიდატები.

**2. არჩევნების სისტემა.**

1) როგორ უნდა მოჰხდეს არჩევნები, მაჟორიტალ სისტემით, რომლისათვისაც საჭიროა ხმის უმეტესობა დასახელებული პირის ასარჩევად თუ პროპორციალად, რომელიც წარმომადგენელების რიცხვს პარტიათა და ამომრჩეველთა შორის წინასწარ ანაწილებს, იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ხმა აქვს.

2) ა) თუ არჩევნები მაჟორიტალური წესისა იქნება, მაშინ როგორ უნდა მოხდეს არჩევნები (თითო კანდიდატს ცალცალკე უნდა მიეცეს ხმა, თუ საარჩევნო სიით. სიაში მოხსენებულ კანდიდატებს ერთად).

ბ) საჭიროა თუ არა კანდიდატების წინასწარი დასახელება. გ) თუ ვერც ერთმა კანდიდატმა (ან სიამ) ხმის აბსოლიტი უმრავლესობა ვერ მიიღო, მაშინ, ხელ ახლად უნდა ეყაროს კენჭი ორ იმ კანდიდატს (ან სიას), რომლებმაც უფრო მეტი ხმა მიიღეს, თუ ხელ ახლად უნდა მოხდეს საერთოდ არჩევნები, მარტო ორისა კი არა, არამედ "უფრო მეტი" კანდიდატისა (ან სიასა) და არჩევანი მოხდეს შედარებით უმრავლესობით.

3) თუ პროპორციალი არჩევნები იქნება, მაშინ სახელდობრ, როგორი სისტემა უნდა იყოს შემოღებული.

4) ერთი კანდიდატი ერთ ოლქში უნდა იყოს დასახელებული თუ შეიძლება რომ ერთი კანდიდატი რამდენიმე ოლქმა დაასახელოს? თუ ეს შეიძლება, რამდენმა ოლქმა უნდა დაასახელოს? ამასთან ოლქების რიცხვი განსაზღვრული უნდა იყოს თუ არა?

**საარჩევნო ოლქები.**

1) რამდენი უნდა იყოს დამფუძნებელ კრების წევრი და მათი რიცხვი-როგორ უნდა შეეფერებოდეს ხალხის რიცხვს.

2) რა საერთო საფუძველი უნდა დაედოს საარჩევნო ოლქებად რუსეთის დაყოფვას. ეს საკითხი საჭიროა, როგორც ცალ კანდიდატიან და მრავალ კანდიდატიან მაჟორიტალ სისტემისათვის, ეგრედვე პროპორციალ არჩევნებისათვის, ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის, როგორ დანაწილდეს რუსეთი საარჩევნო ოლქებად: საფუძვლად გუბერნიები დაედოს თუ არა. საჭიროა თუ არა, რომ ისეთი ქალაქები, რომელთაც თავის მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით უფლება აქვთ საკუთარ წარმომადგენლის ყოლისა, ცალკე საარჩევნო ოლქებად იყვნენ აღიარებულნი.

**სამხედრო პირთა მონაწილეობა არჩევნებში.**

ფრონტზე მყოფ ჯარში როგორ უნდა მოეწყოს არჩევნები. საჭიროა თუ არა, რომ მათთვის ცალკე საარჩევნო ოლქები დაარსდეს. თუ საჭიროა, მაშინ ეს ოლქები რა საფუძვლით უნდა დაარსდნენ და მათ როგორ უნდა შეეფეროს ჯარის ნაწილები? საჭიროა თუ არა, რომ ჯარისთვის ისეთივე საარჩევნო სისტემა იქმნეს შემოღებული, როგორც მოქალაქეთათვის იქნება (იხ. I განყოფ.) თუ სხვანაირი?

„საქ.“

## მიხედეთ სოფელს.

ვისაც სოფლად უმოგზავრია, იმისთვის ცხადზე უცხადესია, რომ სოფელი დღეს დიდ გაჭირვებას განიცდის. პირველი სოფლის უბედურობა ის არის, რომ სოფელს აკლია მუშა ხელი. საუკეთესო და ჯანსაღი მუშა დღეს ომშია გაწვეული. ასე გასინჯეთ, ოჯახის ერთად ერთი ვაჟიც კი წაყვანილია და ოჯახი ქალებისა ან მოხუცების და ბავშების ამარაა. მიტოვებული. უბედურება მით უფრო შესამჩნევია, რომ ის ვინც ომში გაწვევას ასცდენია, სამუშევრად წასულა სადღაც შორს, ან ტრაპეზუნდში ან სხვაგან. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო მავნებლობა ასე შორს მუშა ხელის წასვლისა. ეს კიდევ არაფერი, რომ მუშა, სახლს აკლდება, ამას კიდევ ზედ ერთვის ის უბედურობა, რომ მუშა ბრუნდება სახლში ავადმყოფი, მთლათ ერთიანათ გასივებული, ეს ავადმყოფობა გადამდები აღმოჩნდა. გადაედო მის ძმასა და 12 წლის ვაჟს და სამივე მიწაში ჩაიტანა. აი უბედურება შორს სამუშევრათ წასვლისა. ამას ყოველი შეგ-

ნებული ადამიანი, მოვალეა, წინ აღუდგეს. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ თითქმის ერთი წელიწადია სოფელს უბედურება ეწვია, სახელდობ, საქონლის ჭირი. ვინ მოსთვლის რამდენი ოჯახი გააუბედურა საქონლის ჭირმა. გლეხის მოძრავ ქონებას ხარი და ძროხა შეადგენს. ეს არის გლეხის სიამაყე და თუ გინდათ მისი სულისდგმაც უხაროთ და უძროხოთ ოჯახი დამშეულია, გლეხი დაბეჩავებულია, მისი კერა ცივდება. აი რას უქადის მას ჭირი. მე მოწამე ვყოფილვარ, სახელდობ, სოფ. ჰოგნარში, თუ რა უბედურება დაატეხა ჭირმა სოფლელებს. ოჯახში, სადაც კი გაჩნდებოდა, ერთ ოთხფეხსაც არ დატოვებდა გარდა კამეჩისა, რომელიც ხშირათ იხდის ხოლმე ჭირს, მაგრამ იმავე კამეჩს კი ზაქს აგდებიებს. მე არა ერთი და ორი ვიცი ოჯახი, რომელთაც ჭირმა 1000--2000 მ. ზარალი მიაყენა. აბა წარმოიდგინეთ, ასეთი ზარალი ისედაც დაზარალებული ოჯახისათვის. უბედურება კიდევ ის არის, რომ ჭირი საშინელი სისწრაფით გადადის ერთი სოფლიდან მეორეზე. თუმცა სოფლელები ცდილობენ მოერიდონ, მაგრამ აბა როგორ შესძლებენ თავის სოფელს გარეთ არ გაიყვანონ ხარები? შეშით ვაჭრობა ერთი საშვალებაა მათთვის ფულის შოვნისა და აბა როგორ შეძლებენ ქალაქში, სადაც თავს იყრის ყოველ სოფლის საქონელი, ხარ-კამეჩი არ ჩამოიყვანონ? ამასაც, რომ თავი დავანებოთ, ჩვენ სოფლებს არ აქვთ საყანე მიწები თავიანთ სოფლებში; ისინი იძულებული არიან ჭალებში ჩავიდენ სახნავ-სათესათ. როგორც მაგალითად ს. ნაგარევი, ჭალასთავი, გოდოგანი და სხ, მიდიან სახნავათ მდ. ყვირილის პირზე ანანოვის ან თავიანთ ყანებში. ეს ყანები ს. ჰოგნარის ბოლოზე მდებარეობს, ჰოგნარში კი ჭირი მძვინვარებს, ასე რომ, თუ ყანებში ხარის ჩაყვანა გაბედა, ზემორე აღნიშნულ სოფლის გლეხებმა უნდა იცოდენ, რომ ჭირს წაიღებენ ს. ჰოგნარიდან, რომელზედაც მათ უნდა გადაიარონ. ყანებშიაც კი ბევრს შეხვდებიან ჭირიან საქონლებს, რომელიც ს. ჰოგნარლებს გაურეკიათწყლის პირას ჭირის მოსახადათ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, მდინარე წყალი ჭირს წაიღებს და სხ. დაბლა სოფლებს მოფენს. ამ გვარ მდგომარეობაშია ზემორე აღნიშნული სოფლები და ვინ იცის რამდენი სხვაც. ისინი ტოვებენ ჭალის ყანებს დაუთესავად და ამითი კი მათ შიმშილი მოელით.

გარდა ამისა სოფლათ ძალიან გავრცელებულა ბატონები: ყელჭირვება, ხველა ყვავილი და წითელა. განსაკუთრებით ყელჭირვება მუსრს ავლებს სოფლის ახალგაზრდობას. ხშირათ თითო ოჯახში ორს სამს ბავშს კლავს. ხომ იცით სოფლის ხალხი, როგორ უყურებს ბატონებს დაილოცა მისი გზა. ჩემი ორი ბიჭი მიირთვაო“, ხშირათ გაიგონებთ ხოლმე გულდათუთქულ დედის სიტყვებს, რომელსაც ქმარი ომში ყავს.

აი, ბატონებო, სოფლის ტკივილები სოფელს არ აწევს. ამათ ყველას შველა უნდა, ამ ტკივილებს მალამო უნდა დაედოს, თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა რომელიც უმეტესად სოფლებიდან შესდგება არ განადგურდეს და არ დაბეჩავდეს.

არ კმარა მარტო სიტყვა. სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს. დღეს რომ სოფლებში ორატორები დავიარებით, იმდენს ვერაფერს ვაძლევთ გლეხს, რამდენსაც ვაკლებთ.

აი მაგალითიც შუა დღეა. ვენახებში და ყანებში დარბის ერთი სოფლის ბელადი, თავს „მუშათა პარტიას“ უწოდებს თან ერთი უცხოც ვითომ და იგიც „მუშათა პარტიაა, უკან მისდევს. გლეხებს ეუბნება: მუშათა პარტიის საბჭოდან ბძანებაა ამ საღამოს 4 საათზე ამ სოფლის კრება მოხდესო. აი ეს ყმაწვილი საბჭოს წევრია და ვინც დააკლდება, ყველას საბჭოში წარადგენსო. გლეხიც ემორჩილება გადიხრება თუ არა, გლეხები უშვებენ თოხს ხელს და მიდიან კრებაზე. იწყება კრება და თავდება შელამებულს, როცა ორატორები იღლებიან. კრება გლეხს არაფერს აძლევს იმდენს, რასაც არ აცდენს. საღამომდი რომ გლეხს ემუშავა, გაცილებით უფრო მოგებული დარჩებოდა.

საჭიროა, კრებები ისეთს დროს იმართებოდეს, როცა გლეხს სცალია. დროა შევიგნოთ ეს. მგრამ მარტო კრებები გლეხს არ ყოფნის; ეს ოდნავაც ვერ აამებს მის ტკივილებს. ჩემის აზრით უკეთესი იქნებოდა სოფელს დავხმარებოდით აი ასე:

1) ჩამოგვევლო სოფელი და შეგვედგინა სია იმ პირებისა, რომლებიც მარტო ერთი არიან სალდათობიდან დატოვებული ოჯახში და ისინიც კი სალდათათ წაყვანის შიშით სადღაც სამუშევრათ გადახვეწილან, ოჯახი კი ობლათ დაუტოვებიათ. აი ამ პირებისათვის უნდა აღვძრათ შუამდგომლობა, რათა ისინიც არ გაიწვიონ ჯარში და არ დაავსონ ოჯახი, რის შემდეგაც ისინი სახლში დაბრუნდებიან და თავის კერას ძმების ომიდან დაბრუნებამდი არ გააცივებენ.

2) სოფლათ გავგზავნოთ, რაც შეიძლება მეტი ბეითლები, და ვებრძოლოთ საქ. ჭირს რაც ძალი და შეძლება გვექნება. და თან იმ ღარიბ ოჯახებს, რომლებსაც საქონელი დახოცია, შეძლებისა დაგვარათ დახმარება აღმოუჩინოთ.

3) დავიქირავოთ, რაც შეიძლება მეტი დაცდილი ექიმები და ფერშლები. და გავგზავნოთ სოფლათ, მიხედონ ავადმყოფთ და სიკვდილს გადაარჩინონ ომში წასულ კაცის შვილები.

Elisse.

## ნ. ქამუშაძის რეცენზიის გამო.

(ჟურნალი „განათლება“ № 3. 1917 წ.)

არავითარი სურვილი არა გვქონდა და არც ახლა გვაქვს „გუთნის“ ავტორებს, რომ ზემოხსენებულ რეცენზენტს და ბ-ნ ბოცვაძეს და კომპ. პოლემიკა გაუმართოთ, მაგრამ რას იზამ, როცა ეს ვაჟბატონები არ სცხრებიან, რეცენზიას რეცენზიაზე აცხობენ, თავიანთ თავი გამოჩენილ პედაგოგებად და რეცენზენტებად მოაქვთ. და „გუთნის“ წინააღმდეგ გამოლაშქრებას არ იშლიან. აშკარად სჩანს, რომ „გუთნის“ არსებობა მათ მოსვენებას არ აძლევს, ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ სხვათა შორის, ჩვენს ღარიბ პედაგოგიურ ლიტერატურაში იგიც არსებობდეს, ცდილობენ „გუთნის“ სახელის გატეხას და სრულ, გაუქმებას მაგრამ ჩვენის მოწინააღმდეგეთა სამწუხაროდ, „გუთანი“ თანდათან გზას იკვლევს უმეტეს ნაწილად სოფლის სასწავლებლებში და დღეს უკვე მეოთხე გამოცემად იბეჭდება. აშკარადა სჩანს, რომ ყოფილა მრავალი სოფლის მასწავლებლები, რომელიც არ იზიარებს ბ. ბ. ბოცვაძე—ქამუშაძის და კომპ. შეხედულებას. ეს ნამდვილი ფაქტია და ამის წინააღმდეგ რამდენიც უნდა სწერონ ქამუშაძემ და კომპ. ვერ დაარღვევენ.

ავტორებს, არა ერთხელ გვითქვამს, რომ „გუთანი“ უნაკლულო არ არის, მაგრამ, როგორც სჩანს, ბოცვაძე—ქამუშაძემ ვერ შესძლეს და ვერც შესძლებენ დაუმტკიცონ სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობას, რომ „გუთანი“ სოფლის შკოლებიდან გასადევნი და არქივში გასაგზავნი წიგნი იყოს. „გუთანი“ მაშინ გაიდევნება და არქივს ჩაბარდება, როცა მასზე უკეთესი სახელმძღვანელო გაჩნდება ჩვენს პედაგოგიურ მწერლობაში. ღმერთმა ინებოს, რომ ეს მალე მოხდეს მაშინ „გუთნის“ ავტორებიც ქედს მოიხრიან და არავის პოლემიკით არ შეაწუხებენ.

დიდი ხანია ბ-ნი ქამუშაძე და კომპ. გვემუქრება, რომ მალე შევადგენთ საერთო შრომით ახალს სახელმძღვანელოს და „გუთანს“ განვდევნითო. თუ მართლა ბ-ნ ქამუშაძეს ამის უნარი და მომზადება აქვს, უკეთესი არ იქნებოდა მუქარისათვის თავი დაენებებია და უკეთესის სახელმძღვანელოს შედგენას შედგომოდა? ბ-ნ ნ. ქამუშაძეს რომ დავუჯეროთ, სოფლის შკოლისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა მხოლოდ სოფლის მასწავლებელს შეუძლიან, ხოლო ქალაქის შკოლის მასწავლებელი ამ უნარს მოკლებულია. რამდენად საფუძვლიანი და ჭეშმარიტი შეხედულებაა, ეს მკითხველისათვის მიგვინდვია. ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მასწავლებელთა შორის დიახ არის მრავალი დაკვირვებული, შეგნებული და სოფლის ვითარების საფუძვლიანი მცოდნე მასწავლებელი, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ ეს უკანასკნელნი ბ-ნ ქამუშაძეზე შორსა დგანან და მის შეხედულებას არ იზიარებენ.

გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, რომ ზოგადი ფრაზებით რეცენზენტი ფონს ვერ გავა. გვაპატიოს ბ. ბ. ბოცვაძემ და ნ. ქამუშაძემ, თუ ვერაფერს დაუჯერებთ იმისთანა პედაგოგ რეცენზენტებს, რომელთაც წმინდა ქართული სახელები: ამირინდო, პატიკო, უცხო სიტყვებად ეჩვენებათ, რომელთაც თარგმანი ქართული ორვინალიდან ვერ გაურჩევიათ და გაცნობილნი არ არიან არსებულ რუსულსა და ქართულს სახელმძღვანელოებს.

ბ-ნი ქამუშაძე, სხვათა შორის, „გუთანს“ იწუნებს იმიტომ, რომ: 1) „იქ ლიტერატურულ ნაწარმოებს მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რაც არის, ისიც არ ემსახურება განდიდებას ისეთ გრძნობათა ნასახებისას, როგორიც არის სიყვარული, სიმართლე, კეთილისა და პატიოსანი შრომისადმი მისწრაფება“.

ეს ახალი აღმოჩენა ბ-ნ ქამუშაძისა ჩვენს გარდა, ვფიქრობთ, სხვასაც ბევრს გააკვირვებს. თურმე „გუთანში“ მოქცეული ლიტერატურული ნაწარმოები ჩვენი ქართული საუკეთესო მწერლებისა: რაფ. ერისთავისა, შ. მღვიმელისა, აკ. წერეთლისა, ი. ჭავჭავაძისა, დუტუ მეგრელისა, საბა ორბელიანისა, ეკატერინე გაბაშვილისა, ნიკო ლომაურისა, და სხ. არ ემსახურებიან ზემოხსენებულ მიზანს!. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ ბბ. ბოცვაძე—ქამუშაძენო, თუ მართლა ამ აზრის ბრძანდებით! მაშ სხვას რას უნდა ემსახურებოდენ ზემო ჩამოთვლილნი ჩვენი მწერლები, თუ არა კეთილშობილურ მიზნებს.

2) „გამოჩენილ პირთა ცხოვრების განყოფილებაც გუთანში„ სუსტი ყოფილა

3) არ მოიპოვება იქ ჰიგიენაც. საჭირო ყოფილა, რომ მესამე და მეოთხე განყოფილების მოსწავლე გაეცნოს სხეულის და მისი ნაწილების ფიზიოლოგიურ დანიშნულებას, გაითვალისწინოს მავნე გავლენა ბაქტერია—ბაცილებისა და სხვა„. ასეთი რამ თურმე „გუთანში“ არა ყოფილა. მაგრამ „გუთანში“ მოთავსებული პასტერის ცხოვრება, რომ ბოლომდის წაეკითხა, იქ ნახავდა იმას, რის უქონლობასაც: „გუთანის„ შემდგენელთ უკიჟინებს. ხოლო დაწვრილებითი გამოკვლევა ბაქტერია- ბაცილების გავლენისა, ვფიქრობთ, სოფლის მესამე და მეოთხე განყოფილების მოსწავლისათვის მიუწდომელია 4) „გუთანში“ კოსმოგრაფიიდანაც სუსტი ცნობები ყოფილა; 5) არ მოგვითავსებია ფიზიკური, მათემატიკური და პოლიტიკური გეოგრაფია და გეოგრაფიული ლექსები. და ბოლოს ქართული ისტორიაც არ მოიძებნება ხსენებულ სახელმძღვანელოში. ზემოხსენებული საგნები ბ-ნ ქამუშაძეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია. ამის წინააღმდეგ აბა რა ითქმის? ამას რომ ღმერთი მოგვასწრებდეს, ჩვენზე ბედნიერი ერი არ იქნებოდა. ამ მოთხოვნილებას შეიძლება სხვამ უფრო კიდევ საჭირო საგნები დაუმატოს ჩვენი შკოლის პროგრამას და იმავ სახელმძღვანელოში მოათავსოს ელემენტალური არითმეტიკა და გეომეტრია, ფიზიკა, ქიმია, მეურნეობა, კანონმდებლობა, საჭირო ცნობები პოლიტიკური ეკონომიიდან კულტურისა და მსოფლიო ისტორიიდან და სხვა სურვილი და მისწრაფება არ არის. საქმე ის არის, შესძლებდა თუ არა ძველ პირობებში მყოფი მესამე და მეოთხე განყოფილების მოსწავლე, ისიც იმისთანა უკუღმართ დროს, შეეთვისებინა ის პროგრამა, რომელიც ასე სამართლიანად მოსწონს ბ-ნ ქამუშაძეს და მასთან ჩვენც.?

ვიმეორებთ ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ან ვაქოთ ან ვაძაგოთ ჩვენ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო. ცხადია, გვესიამოვნება თუ იგი საზოგადოების თანაგრძნობას მოიპოვებს, რასაც ჩვენდა სასიამოვნოთ კიდეც ვამჩნევთ. „გუთანი“ თნდათან შედის ხმარებაში ჩვენ ეს გარემოება სულიერად გვამხნევებს და იმედს გვიძლიერებს. სხვას ჩვენ მეტს არაფერს ვითხოვთ.

„გუთნის“ შემდგენელნი.

## ანგარიში.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის დამხმარე საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ სტუდენტთა ტრადიციულ საღამოსი 2 თებერვ. 1917 წ.

(გაგრძელება. იხ. „ჩვ. ქვ.“ № 24).

სია იმ პირთა, ვინც შემოსწირეს: 100 მან. ე. სკორუპსკი; 25-25 მან: ლ. ქებაძე, ქამაროვი და რუხაძე, მ. ნაგიევი თ. კუჭავა, ა. ელიგულაშვილი, ვ. ლანდია, 20—20 მან. პ. ჩაკვეტაძე, ა. გორშკოვი. 15-15 მ. შ. იაკობიშვილი, ა. რიჟინაშვილი, ა. ელიგულაშვილი, კ. ძნელაძე, მ. ქიმერიძე, ა. გოგავა. 10-10 მ. მ. კასუმოვი, ბ. რიჟინაშვილი, კ, მელაშვილი, მ. უკრაინცევი, ზ. ბუტულაშვილი, ი. ხანანაშვილი, ფ. ფილიპოვი, დ. დ. სააკაშვილი, ს. აბაშიძე, ვ. ტერ-გრიგორიანცი, ი. ჩიქოვანი, გ. გველესიანი, ნ. ქვარიანი, ს. წერეთელი ექ. გ. მუხაძე, დ. ხელთუფლიშვილი. 6 – 6 მ. ი. მესხი, ექ. გ. ნასარიძე. 5 - 5 მან. დ. ბუზიაშვილი, ი. ქუთათელაძე, ი. ციციაშვილი, გ. ფიჩხაძე, მ. თავდიდიშვილი, ი. ხაზარაძე, მ. ფიჩხაძე, ა. ციციაშვილი, ს. ბოკერია, თ. წიქორიძე, რ. მახარაძე, კილოსონია და კაპანაძე, ს. რუხაძე, ძმ. ი. და დ. ფიჩხაძენი, ნ. ჯანელიძე, „საფი“, ძმ. გოკიელნი, ძმ. გვარჯალაძენი, ფიჩხაძე, ი. ალიბეგოვი, ს. მოწონელიძე, ი. მოწონელიძე, ა. პირადოვი, გ. ტყეშელაშვილი, ბ. ოგანეზოვი, ძმ. აშჩიანც, ბოკერია და შენგელია, ე. ნარსია და ამხ., შენგელია და ბალანჩივაძე, ი. კაპანაძე, ა. ქომეთიანი, ე. ხოჯევანიშვილისა, ი. მელიქიშვილი, ლ. ნიკიტინი, კ. გაბარაშვილი, ე. აბაშიძე, დეკ. გ. ცაგარეიშვილი, ე. კორძაიასი, ა. ფაღავა, ი. ჟღენტი, ეპისკოპოსი გიორგი, ექ. ა. ჩარკვიანი, ლ. მახარაძე, ო. დოლაბერიძისა, ექ. მ. ლორთქიფანიძე, ვ. სისოევი, ჯ. ჯორჯიკია, გ. ბარათაშვილი, ა. გელაზაროვი, ი. აბზიანიძე, ა. ნივინსკისა, თ. აბაშიძისა, 3—3 მ. ი. მოშიაშვილი, მ. ხანანაშვილი, მ. გაგულაშვილი, ა. ფიჩხაძე, ძმ. ეფრაიმი. ბ. მსხვილიძე, ჩხეიძე და მამფორია გ. ამირაგოვი. ა. სადიკოვი, შ. თავდიდიშვილი ძმ. კუზანოვები, ი. ჯანელიძე, გ. ციციაშვილი ი. კუხიანიძე, ნ. ბარაბაძე, ი. ოგანეზოვი, ე. ბარათაშვილი, ბ. გაბუნია, ყუფარაძე და ამხ., ამხ. „სამეგრელო“, ძმ. ბექაიები, ლ. კიკვაძე, შ. თოფჩიაშვილი, ა. ხუციშვილი, ი. ჭეიშვილი, კ. შათირიშვილი, ა. ლაფერიშვილი, ა. ამირაგოვისა, ლ. ლუკიანენკო ნ. იზიუმსკისა, ე. ქუთათელაძე, მ. ტიმჩენკო-რუბანისა, ექ. ს. დმიტრიევი, ექ. ა. ამბოკაძე, ა. ბახტაძისა. 2—2 მან. ა. თავდიდიშვილი, ლ. ჩიკვაშვილი, ფ. ხანანაშვილი, რ. ბუზიაშვილი, ამირაგოვი და ფალიევი, ი. მამაჯანოვი, გ. გალუსტოვი, ა. კოსტავა, ი. ცინცაძე. 1—1 მან. პ. ამაღლობელი, პ. პალაშევი, ჯავახაძე, დ. მეძმარიაშვილი, ა. შალამბერიძე, ბ. ჯოჯუა, რ. შეხტმანესა ი. ბურძგლაია. კ. კობახიძე, ს. ფხეცაძე, ე. ჩოგავაძე, ი. ძოწენიძე, ს. ბაბუნაშვილი, თევდორაძე და ქებულაძე, თ. კვიცარიძე, ი. შათირიშვილი, ი. კშონძერია, ქ. მერმანიშვილი, ა. ვასაძე, ფ. ზილბერფარბი, 50—50 კაპ. დ. სოხაძე, ს. კახიანი, თ. ბურჯანაძე, ე. მაღლაკელიძე.

(დასასრული იქნება)

## სია.

იმ ჯარის კაცთა ოჯახებისა, რომელთაც დახმარება მიიღეს ქუთაისის ქალთა კომიტეტისაგან.

(გაგრძელება იხ. „ჩვ. ქვ.“ № 24)

95. სანაძე გ.—10 მ., 96. ვაშაკიძე პ.—10, 97. ვაშაკიძე ა.—10, 98. მ. გულარია -10, 99. ვაშაკიძე ვერა—10, 100. ვაშაკიძე მ.—10, 101. ჩხეიძე მ. 10, 102. ალ. ვაშაკიძე 10, 103. ა. ლეჟავა—10. 104. ა. მიქაბერიძე—10, 105. მ. ხეუხიძე—15, 106. ნ. ნიჟარაძე—10, 107. ე. ლეშენკო- 10, 108. ბაბილენკო ს.—109. მ. შვილიძე—10, 110. აბულაძე—10, 111. გ. ნუცუბიძე—10, 112. მ. სალორაია—10, 113. პ. კოხრეიძე—10, 114. ბახტაძე ელ., 115. ლეჟავა ლეონ.—10, 116. გვენთაძე—5, 117. კ. გვენთაძე—10, 118. მ. ასიმერაძე—5, 119. სურგულაძე სიმ.—10.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**



## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.



## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | “ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |



# სუსუნატით (ლონორეა) ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას **„რეზურონილი“**, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ. საშუალება ერთნაირათ ნაცადია როგორც ვაჟებზე ისე ქალებზედაც. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, დაამტკიცა რომ

# რეზურონილი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენად ავადმყოფისა ღირს 35 მან. 50 კ. ნახევარი კურსი 21 მენეთი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანათის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში.** Тифлиское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.

## ადამიანის სიცოცხლე დამაბუნებულია

ათაშანგით (სიფილისი) რომელიც ყოველთვის განიკურნება გაუმჯობესებულ შვეიცარული პრეპარატით

# იოდოსტარინით

პრეპარატი იოდოსტარინი სპეციალისტმა ექიმებმა საუკეთესო საშუალებათ სცნეს ათაშაგის მოსარჩენად სახლში.

მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან., მეოთხედი—9 მან. პრეპარატი ეგზავნებათ 5 მან. ბეს მიღებისათვის უნდა მიმართოთ მხოლოდ ამ მისამართით: Тифлисское отдѣленіе Парижсой фармацевтической Лабораторія Лорис—Меликовская ул. № 16



სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.